თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 11

27 ოქტომბერი 2022 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 31 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	მამუკა ბურდიაშვილი;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	ალექსანდრე შათირიშვილი;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	მიხეილ დაღუნდარიძე;
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	ლევან ბერძენაშვილი;
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	გიორგი ხაჭაპურიძე;
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	თინათინ ხანჯალიაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	დავით ღაღანიძე;
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	ბაადურ რევაზიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: **თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ზურაბ მოსახლიშვილი, ზურაბ მუსაევი, უჩა ჭოტიაშვილი, ზაზა ტატულიშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: **ალექსი ძულიაშვილი, აბრამ მახარიაშვილი, გიგი გიგიტელაშვილი, ეთერი გურგენაშვილი.**

საკრებულოს წევრები: ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ მეტრეველი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ფიქრია ყუშიტაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **მაია დათუნაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსი **თედო ხოსროშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **მარიამ ლილუაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **თამარ ზაზანაშვილი;**

შპს „კეთილმოწყობის სამსახური" დირექტორი **უ.პაპუნაშვილი**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

თელავის დემოკრატიული სკოლის ხელმძღვანელი **გიორგი თავბერიძე;**

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები;

მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

სხდომის გახსნამდე საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საკრებულოს გარდაცვლილ წევრს ანა ოთარაშვილის ხსოვნას.

ლ.ბერძენაშვილმა სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „საკრებულოს წევრის ანა ოთარაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ".

ნ.ვაყელიშვილმა სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

ბ.რევაზიშვილმა მოითხოვა საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომ მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურთან შეკითხვების დასმის უფლება.

გ.გიგიტელაშვილმა მოითხოვა განცხადებების გაკეთების უფლება.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა. დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი რედაქციით:

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00 სთ-დან - 12.20 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №08 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
12.20 სთ-დან - 12.30 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №09 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ - ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ფ.ყუშიტაშვილი
12.30 სთ-დან - 12.40 სთ-მდე

4. საკრებულოს წევრის ანა ოთარაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს.ლ.ბერძენაშვილი
12.40სთ-დან-12-50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხს. ნ.ვაყელიშვილი

12.50სთ-დან-13-00სთ-მდე

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00 სთ-დან - 12.10 სთ-მდე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის განკარგულების საფუძველზე რეგიონებში განხორციელებული პროეტების დაფინანსებაში შევიდა ცვლილება. ერეკლე II გამზირზე არ შედგა ტენდერი ეზოების რეაბილიტაციაზე, რის შემდეგაც გამონთავისუფლებული თანხა 259.000 ლარი მოხმარდება ალაზნის გამზირზე მიმდინარე სამუშაოების გაუთვალისწინებელ ხარჯებს, წარმოდგენილ პროექტში ეს ცვლილება არ არის წარმოდგენილი, რის გამოც საკრებულოს წევრებს სთხოვა პროექტის დამტკიცება წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვეს: **ბ.რევაზიშვილმა** დასვა კითხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების თაობაზე.

დასმულ კითხვას უპასუხა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსმა **თ.ხოსროშვილმა.**

გ.გიგიტელაშვილმა ისაუბრა ალაზნის გამზირზე მიმდინარე სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არაჯეროვან შედგენაზე, რის გამოც მოსახლეობას უამრავი პრობლემა შეუქმნა და ამაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღონ შესაბამისმა თანამდებობის პირებმა.

თ.ხოსროშვილმა ისაუბრა ალაზნის გამზირზე დაგეგმილ სამუშაოების შესახებ და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში დასრულდება სამუშაოები.

ბ.გულიაშვილმა დასვა კითხვა სამუშაოების შესრულების ვადასთან დაკავშირებით, მიმართა თუ არა შემსრულებელმა კომპანიამ მერიას სამუშაოების შესრულების ვადის გადაწევასთან დაკავშირებით.

ბ.რევაზიშვილმა ისაუბრა ალაზანი-კავკასიონზე მიმდინარე სამუშაოების არაჯეროვნად შესრულებაზე, გაჭიანურებაზე და იმ სირთულეებზე რომლებსაც აწყდება მოსახლეობა. მან აღნიშნა, რომ მოსახლეობას უნდა მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია მიმდინარე სამუშაოების შესახებ, აგრეთვე მერიას პროექტირების დროს არ უნდა დაეშვა შეცდომები.

გ.გიგიტელაშვილმა აღნიშნა, რომ ალაზნის გამზირზე ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების არაჯეროვნად შესრულებისათვის ტენდერში გამარჯვებული კომპანიას შეუწყდა ხელშეკრულება, თუმცა ახალი ხელშეკრულება გაფორმდა კომპანიასთან, რომელიც იგივე პირზეა რეგისტრირებული, შესაბამისად ჩნდება ეჭვი კორუფციული გარიგების.

ი.კევლიშვილმა ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვები ამა თუ იმ პროექტს რა თანხები ჭირდება, რათა უფრო ნათელი იყოს რას უნდა დავუჭიროთ თუ არ დავუჭიროთ მხარი.

ბ.გულიაშვილმა დასვა კითხვა სოფელ კონდოლში სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროექტი თითქმის დასრულებულია თანხის გამოყოფა კი ხდება მოგვიანებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მთავრობის განკარგულებით გამოყოფილია თანხა მიზნობრივად, რომელიც მოხმარდება კონკრეტულ პროექტს, შესაბამისად მერიამ უზრუნველყო მოსამზადებელი ღონისძიებები და დადგა დრო თანხის ასახვის.

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 21 (ოცდაერთი) წევრმა.

წინააღმდეგი 03(სამი)წევრი: ბ.რევაზიშვილი, ბ.გულიაშვილი, ი.კევლიშვილი.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 07(შვიდი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ა.კუპატაძემ. რ.ჩეკურიშვილმა, რ.იმერლიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ა.მახარიაშვილმა,

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №08 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
12.20 სთ-დან - 12.30 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20 (ოცი) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 11 (თერთმეტი) წევრმა: ბ.რევაზიშვილი, ა.ძულიაშვილმა, ბ.გულიაშვილი, ი.კევლიშვილი. გ.გიგიტელაშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ა.კუპატაძემ. რ.ჩეკურიშვილმა, რ.იმერლიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ა.მახარიაშვილმა.

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №09 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ - ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ფ.ყუშიტაშვილი
12.30 სთ-დან - 12.40 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს</u>: **ლ.ბერძენაშვილმა** მოითხოვა წარმოდგენილ პროექტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, რასაც დაეთანხმა მომხსენებელიც.

ი.კევლიშვილმა დასვა კითხვა ბანაკის მონაწილეთა შერჩევის პროცედურების შესახებ და აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია და მხარს უჭერს.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **28 (ოცდარვა)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03(სამი) წევრმა: ბ.რევაზიშვილმა, ა.მახარიაშვილმა, ნ.ბახსოლიანმა).

<u>4. მოისმინეს:</u> საკრებულოს წევრის ანა ოთარაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

12.40სთ-დან-12-50სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> საკრებულოს წევრის ანა ოთარაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა გარდაცვალების გამო მიღებულ იქნეს ცნობად.

<u>5. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხს. ნ.ვაყელიშვილი

12.50სთ-დან-13-00სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **28 (ოცდარვა)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03(სამი) წევრმა: ე.გურგენაშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ა.მახარიაშვილმა).

<u>6. მოისმინეს:</u> „სხვადასხვა"

ბ.რევაზიშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს დაუსვა კითხვა ალაზნის გამზირზე მიმდინარე სამუშაოების დასრულების ვადასთან დაკავშირებით, აგრეთვე დუმბაძის ქუჩის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

ბ.რევაზიშვილის კითხვებს უპასუხა **თ.ხოსროშვილმა.**

ი.კირვალიძემ დასვა კითხვა თვითმცლელ ტექნიკის შესყიდვისათვის.

რაზეც განმარტებები გააკეთა შპს „კეთილმოწყობის სამსახური“ დირექტორმა **უ.პაპუნაშვილმა.**

გ.გიგიტელაშვილმა ისაუბრა მშვიდობის ქუჩაზე ხიდის მშენებლობის ტენდერის განუხორციელებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ სამწუხაროდ მრავალჯერადი გამოცხადების შემდეგ ტენდერი მაინც ვერ შედგა.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სოფელ კურდღელაურში მინი მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოიყო 5000 ლარი თუმცა სამუშაოები არ დაწყებულა. აგრეთვე მშვიდობის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები გაიწელა დროში.

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი